



*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**2018 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (FR)**

საპროექტო განაცხადის ტიპი	ინსტიტუციური		
პროექტის ხანგრძლივობა	2 ან 3 წელი		
საანგარიშო პერიოდი / ტრანში	12 თვე		
სამეცნიერო მიმართულება	მაქსიმალური წლიური ბიუჯეტი	დაფინანსების მაქსიმუმი პროექტის ხანგრძლივობის მიხედვით	
		2 წელი	3 წელი
1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები 2. ინჟინერია და ტექნოლოგიები 3. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები 4. აგრარული მეცნიერებები 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, რომლებიც მოიცავს აქ დასახელებულ 1-4 სამეცნიერო მიმართულებებს.	80 000 ლარი	160 000 ლარი	240 000 ლარი
5. სოციალური მეცნიერებები 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, რომლებიც მოიცავს აქ დასახელებულ 5-6 სამეცნიერო მიმართულებებს.	60 000 ლარი	120 000 ლარი	180 000 ლარი



## ბიუჯეტი

- ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება პროექტში ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის ჩართვის შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 45 000 ლარს. აქედან ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის საგრანტო დაფინანსებისათვის განკუთვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 15 000 ლარს, ხოლო გამოცდილ მეცნიერთა საგრანტო დაფინანსება – წელიწადში 30 000 ლარს. ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სავალდებულოა მათი მონაწილეობა პროექტის ყველა საანგარიშო პერიოდში.
- ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება, თუ პროექტში არ არიან ჩართული ახალგაზრდა მეცნიერი(ებ)ი, არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 000 ლარს; თუ ძირითადი პერსონალიდან ყველა არის ახალგაზრდა, საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 15 000 ლარს;
- დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამში არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 5 000 ლარს.
- ზედნადები ხარჯები - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.



პროექტების წარდგენა ხდება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS [Grants Management Unified System]! აუცილებელია GMUS-ში რეგისტრაცია ჰქონდეთ გავლილი: ორგანიზაციებს (წამყვანი, თანამონაწილე, თანადამფინანსებელი) და ძირითად პერსონალს

**ორგანიზაცია**

წამყვანი ორგანიზაცია (სავალდებულოა)	თანამონაწილე ორგანიზაცია (არასავალდებულოა)	თანადამფინანსებელი ორგანიზაცია (არასავალდებულოა)	პარტნიორი ორგანიზაცია (სასურველია)
<u>საქართველოს სსიპ, (ა)აიპ, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.</u>	<u>საქართველოს სსიპ, (ა)აიპ, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.</u>	იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები	<u>საზღვარგარეთ რეგისტრირებული</u> იურიდიული პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია

**GMUS-ში რეგისტრაცია**

აუცილებელია	აუცილებელია	აუცილებელია	არა
-------------	-------------	-------------	-----



**ორგანიზაცია**

წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია	თანადამფინანსებელი ორგანიზაცია	<b>პარტნიორი ორგანიზაცია</b>
----------------------	--------------------------	--------------------------------	------------------------------

**საჭირო დოკუმენტაცია**

იტვირთება ორგანიზაციის მიერ დარეგისტრირებისას (იხ. პირობები)	იტვირთება ორგანიზაციის მიერ დარეგისტრირებისას (იხ. პირობები)	იტვირთება ორგანიზაციის მიერ დარეგისტრირებისას (იხ. პირობები)	პარტნირობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მაგ.: მემორანდუმი, ხელშეკრულება და ა.შ.) ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ
--------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**თსუ უკვე დარეგისტრირებულია. ასარჩევად შეიყვანეთ კოდი 204864548**

დანართი 9 - ინფორმაცია იურიდიული/ფიზიკური პირის შესახებ, რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პროექტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ივსება იმ შემთხვევაში თუ კვლევა ხორციელდება იმ ფიზიკური/იურიდიული პირის ბაზაზე რომელიც არ წარმოადგენს წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციას





ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა თანადაფინანსების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ

თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, ფონდი გადარიცხავს ტრანშს შესაბამისი პერიოდისთვის გათვალისწინებული თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.



პერსონალი	მოთხოვნები	შეზღუდვები
ძირითადი პერსონალი	საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები. დოქტორის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის, მაგისტრატურის ან რეზიდენტურის სტუდენტი	მონაწილეობს მხოლოდ 2 მიმდინარე* პროექტში (FR, AR DI)
პროექტის ხელმძღვანელი (სავალდებულო პოზიცია)	დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე	ხელმძღვანელობს მხოლოდ 1 მიმდინარე* პროექტს (FR, AR DI)
პროექტის კოორდინატორი (სავალდებულო პოზიცია)	საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან	ხელმძღვანელი ≠ კოორდინატორი
ახალგაზრდა მეცნიერი (სასურველი პოზიცია)	დოქტორი ან მაგისტრი, ძირითადი პერსონალიდან, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე, მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი	აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასული უნდა იყოს არაუმეტეს 7 წლისა
დამხმარე პერსონალი (არასავალდებულო პოზიცია)	პროექტში ტექნიკური საკითხების მოგვარებისთვის საჭირო პერსონალი	არა
კონსულტანტი (სასურველი პოზიცია)	უცხო ქვეყნის მოქალაქე	კონსულტანტი ≠ ძირითადი პერსონალი

\* პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი, დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და არ არის დახურული 2018 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით



პერსონალი	GMUS-ში რეგისტრაცია	ასატვირთი დოკუმენტები
<p><b>პირითადი პერსონალი</b></p>	<p><b>აუცილებელია</b></p> <p>CV ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს.</p> <p>პროფილის სისწორეზე პასუხისმგებელია პროფილის ავტორი!!!</p> <p>შევსებული CV pdf ფორმატში მიეწოდება პროექტის ხელმძღვანელს, რომლის პროფილიდანაც იტვირთება პროექტი.</p> <p><b>აღსანიშნავია:</b> უცხოელი ძირითადი პერსონალის ინგლისური CV-ების ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი</p>	<p>აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის / მაგისტრანტის / რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან)</p> <p>საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება.</p> <p><b>უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალისათვის,</b> აკადემიური ხარისხის დოკუმენტი უნდა იყოს ლეგალიზებული ან აღიარებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.</p> <p>დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.</p>



პერსონალი	GMUS-ში რეგისტრაცია	ასატვირთი დოკუმენტები
დამხმარე პერსონალი	არ რეგისტრირდება	
უცხოელი კონსულტანტი	არ რეგისტრირდება	CV ინგლისური და ქართული თავისუფალი ფორმით pdf ფორმატში იტვირთება პროექტის ხელმძღვანელის მიერ  თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ (დანართი 7) დამოწმებული ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ)





### აუცილებელი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: Scimago Journal Ranking, Scopus, Web of Science, ERIH plus. ან გამოქვეყნებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოცემულ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე).
2. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.
3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.
4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.



პროექტის გეგმა-გრაფიკი

დანართი 5

პროექტის ხელმძღვანელი:

წამყვანი ორგანიზაცია:

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

ამოცანები	პერიოდი	პასუხისმგებელი პირი
<b>№1 ამოცანის დასახელება</b>		
1. აქტივობა [ტექსტი]		
2. აქტივობა [ტექსტი]		
<b>№2 ამოცანის დასახელება</b>		

შედეგები

პერიოდი	შედეგის ამსახილი მასალები	რაოდენობა	შედეგის მოკლე აღწერა	შედეგის მიღებაზე პასუხისმგებელი პირი
I				
I				
II				
II				
III				
III	სტატიის გამოქვეყნება/ გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება რეიტინგულ ჟურნალში			



## გეგმა-გრაფიკის დასაბუთება

---

1. პროექტი უნდა დაიგეგმოს 2 ან 3 საანგარიშო პერიოდად, ერთი საანგარიშო პერიოდი შეადგენს 12 თვეს.
2. რეკომენდებულია, ამოცანებისა და აქტივობების დანომრვა.
3. გეგმა-გრაფიკი თანხვედრაში უნდა იყოს საპროექტო წინადადებაში ასახულ მიზნებთან და ამოცანებთან.
4. პროექტის გეგმა-გრაფიკის „შედეგების ამსახველი მასალების ველი“ უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებას საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში. (იხ. კონკურსის პირობები, მე-11 მუხლი, 1-ლი პუნქტი)
5. თუ ამოცანა ხორციელდება რამდენიმე საანგარიშო პერიოდში, მის შესახებ ინფორმაცია ასახული უნდა იყოს ყველა საანგარიშო პერიოდში.



### გასათვალისწინებელია

- გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის (12 თვე) ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.
- ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით
- პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდგომ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული დასაბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელების შესახებ დამატებითი დაფინანსების გარეშე.
- ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.



საკონკურსო დოკუმენტაცია

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ	ნიმუში - დანართი 2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს
საპროექტო წინადადება	დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით
პროექტის ძირითადი პერსონალის (ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ქართველი და უცხოელი მკვლევრების) პროფესიული ბიოგრაფიები (CV)	ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს
უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფია - CV	ინგლისურ ენაზე და მისი ქართული თარგმანი იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ
პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი	ნიმუში - დანართი 5, ივსება GMUS-ში
პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება	ნიმუში - დანართი 6, ივსება GMUS-ში



**პროექტის თანდართული დოკუმენტებია, რომელიც იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით (იხ. პირობები)**

უცხოელი კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ (დანართი 7) დამოწმებული ხელმოწერით და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ

სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი (ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 9-ის ფორმით)

პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე თანადამფინანსებელი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება)

პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის/მაგისტრანტის/რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან)

პარტნიორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პარტნირობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ



*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*  
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Scopus

ციტირების ინდექსი: - [ ] +  
 h-ინდექსი: - [ ] +

Web of science

ციტირების ინდექსი: - [ ] +  
 h-ინდექსი: - [ ] +

Google scholar

\*ციტირების ინდექსი: - 0.00 +  
 h-ინდექსი: - 0.00 +

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

1918

GMUS-ში პროვილის შევსების დროს საჭიროა ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების (ციტირების ინდექსი h-index) მითითება Google Scholar-ით (სავალდებულო ველი), SCOPUS და WoS-ით (ბოლო ორი არასავალდებულოა)

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტი

1918

ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები ბაზებში Google Scholar, Web of Science, Scopus

Clarivate Analytics Web of Science/Journal Citation Report

Eisevier

ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები ბაზებში Google Scholar, Web of Science, Scopus

Clarivate Analytics Web of Science/Journal Citation Report

Eisevier

მითითებული ინდექსების საძიებო გზამკვლევები დევს თსუ-ს ვებზე შემდეგ განყოფილებაში: კვლევა - ელექტრონული ბაზები - ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები ბაზებში Google scholar, Web of Science, Scopus



**საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში  
კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ**

**„განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“  
დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და  
ბეჭდით**

განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვის ალნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურსში მონაწილეობაზე. ფორმა თავისუფალია!

ნიმუში - დანართი 10,  
გენერირდება GMUS-ით

**თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის  
შემთხვევაში) ორიგინალი**

თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვის ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ





### რჩევები / საკვანძო მომენტები ☺

1. აუცილებლად წაიკითხეთ პირობები და ნახეთ ყველა დანართი!!!
2. **ბიუჯეტი და გეგმა-გრაფიკი ივსება GMUS-ში;**
3. მივლინება, საქონელი და მომსახურება და არაფინანსური აქტივები - სამივე კატეგორიაში ყველა ტრანშის შევსება სავალდებულოა! თუ არ აპირებთ შესყიდვებს, ჩაწერეთ 0. აუცილებელია ბიუჯეტის დასაბუთება;
4. გეგმა-გრაფიკში გაწერილი ამოცანები თანხვედრაში უნდა იყოს ბიუჯეტთან; კვლევის შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია დანართ 13-ში! GMUS-ში შეფასების ინდიკატორები წარმოდგენილია ჩამოსაშლელი მენიუს სახით.
5. გასათვალისწინებელია, რომ პროექტის ფარგლებში 1 სტატიის გამოქვეყნება რეიტინგულ ჟურნალში არის აუცილებელი!!
6. პროექტის ძირითადი პერსონალი უნდა იყოს დარეგისტრირებული GMUS-ში! გენერირებული CV-ები pdf ფორმატში დროულად უნდა მიეწოდოს პროექტის ხელმძღვანელს; მიაქციეთ ყურადღება, რომ ყველა საჭირო დოკუმენტი იყოს ატვირთული
7. თსუ GMUS-ში დარეგისტრირებულია. ასარჩევად ჩაწერეთ საიდენტიფიკაციო კოდი 204864548



არ დაივიწყოთ, რომ...☺

1. პროექტის საბოლოო დარეგისტრირებამდე ბიუჯეტი შეათანხმეთ და დაავიზებინეთ თსუ საფინანსო დეპარტამენტს (თსუ I კორპ. ოთახი 015);
2. პროექტის საბოლოო დარეგისტრირებამდე გეგმა-გრაფიკი გაიარეთ და დაავიზებინეთ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს (თსუ I კორპ. ოთახი 113);
3. ნუ დაელოდებით ბოლო დღეს! გთხოვთ, შესამოწმებელი დანართები/ფორმები მოიტანოთ DEADLINE-მდე ერთი კვირით ადრე მაინც, რათა შეცდომების შემთხვევაში გვქონდეს გასწორების დრო!
4. პროექტის საბოლოო დარეგისტრირების შემდეგ დაგენერირებული ხელმოწერილი განცხადების ფორმის ერთ-ერთი ეგზემპლარი დაავიზებინეთ დეკანს/ინსტიტუტის დირექტორს, თან დაურთეთ დავიზებული ბიუჯეტი და გეგმა-გრაფიკი და წარმოადგინეთ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში საბოლოო ვიზირებისთვის.